

„ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა“

სსიპ - განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

2023 წელი

შესავალი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდეგში- ცენტრი) გაიმარჯვა ლისაბონის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, ევროპის საბჭოს მიერ გამოცხადებულ მცირე საგრანტო კონკურსში. საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა, ევროპის საბჭოს განათლების პროგრამაში ჩართული კონკრეტული ქვეყნების (ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, ვატიკანი, ყაზახეთი, მონაკო, მონტენეგრო, მოლდოვის რესპუბლიკა, სან მარინო, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი) საინფორმაციო ცენტრების (ENIC - Centres) მხარდაჭერას, ლისაბონის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტირების პროცესში.

საქართველოს სახელით, საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც წარადგინა შემდეგი პროექტი - „ლტოლვილების (საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა) (შემდეგში: ლტოლვილები) მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა“.

ცენტრის მიერ წარდგენილმა საგრანტო განაცხადმა, ევროსაბჭოს საკონკურსო კომისიის მხრიდან, მაღალი შეფასება დაიმსახურა და ცენტრმა მოიპოვა სრული დაფინანსება, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად. გრანტის გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა 2023 წლის 27 მარტს ქალაქ სტრასბურგში.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მოკლე აღწერა და შედეგები.

აბრევიატურები

ENIC-NARIC - ENIC: European Network of Information Centres in the European Region - საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი ევროპის რეგიონში;

EQPR - European Qualifications Passport for Refugees - ევროპული კვალიფიკაციის პასპორტი ლტოლვილთათვის

სარჩევი

აბრევიატურები 2

თავი I: ლტოლვილთა მიერ მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკები საერთაშორისო გამოცდილება..... 4

EQPR- ევროპული კვალიფიკაციის პასპორტი ლტოლვილთათვის 8

თავი II- საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის ცვლილებების პროექტის მომზადება 9

თავი III- საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების კვლევა საერთაშორისო სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე..... 10

თავი IV- ტრენინგი: „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“..... 11

თავი V- საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის სახელმძღვანელო დოკუმენტი და საინფორმაციო ბროშურა 13

დანართი. 1 სახელმძღვანელო 14

დანართი.2 ბროშურა 14

დანართი 3. საინფორმაციო ბარათი..... 15

თავი I: ლტოლვილთა მიერ მიღებული განათლების აღიარების პრაქტიკები საერთაშორისო გამოცდილება

პროექტი შექმნილია ლტოლვილების, ან/და ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის (საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის, თავშესაფრის მაძიებლის, ან ლტოლვილის მსგავსი სტატუსის მქონე პირის) მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცესების, პოლიტიკისა და მექანიზმების მხარდასაჭერად და საქართველოს საკანონმდებლო ბაზის, ამ მიმართულებით, გადახედვისა და დახვეწის მიზნით.

ლტოლვილი - ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის, ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის, ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია, ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით, ასეთი საშიშროების გამო

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ***პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტი,*** რომელიც მოიცავს ინფორმაციას, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების საუკეთესო პრაქტიკების შესახებ - პოლონეთის, თურქეთის, ნორვეგიის სამეფოს, იტალიის და შვედეთის სამეფოს მაგალითებზე, რადგან საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესასწავლად და შემდგომ, პრაქტიკაში განსახორციელებლად, საჭირო ოყო, გამოცდილ ქვეყნებში არსებული პრაქტიკების გაცნობა და შესწავლა. ამასთან, შესწავლილ იქნა საქართველოში არსებული მდგომარეობა და მიმოიხილა შესაბამისი მარეგულირებელი აქტები, ლტოლვილთა

მიერ მიღებული განათლების აღიარებასთან მიმართებით. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები:

გრაფიკი 1

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებს არ აქვთ განსხვავებული წესები და მიდგომები, ლტოლვილების მიერ მიღებული სრული ზოგადი და უმაღლესი განათლების აღიარების კონტექსტში. განურჩევლად საფეხურისა, ერთნაირი მიდგომა და წესები მოქმედებს ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის განხორციელებისას. ასევე, უმეტეს ქვეყნებში, ზემოაღნიშნული პროცედურა ხორციელდება უფასოდ.

საერთაშორისო პრაქტიკის და საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის (როგორც პროცედურის განმახორციელებლისათვის/სერვისის მიმწოდებლისათვის) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის (როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოსათვის) პროცესების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები.


•გადაიხედოს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული საბაზო/სრული ზოგადი განათლების აღიარების და პროფესიული/უმაღლეს განათლებაზე დაშვების შესაძლებლობის საკითხი
•გადაიხედოს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების არსებული წესი, უფრო დეტალურად გაიწეროს ჩართული მხარეების უფლებები და ვალდებულებები
•განისაზღვროს პროცედურის ვადები
•გადაიხედოს იმ მოსწავლეების (საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე) საკითხი, რომლებსაც, არ გააჩნიათ განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გამოხატავენ სურვილს, რომ სწავლა გააგრძელონ საქართველოში
•გადაიხედოს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფასურების საკითხი

გრაფიკი 2

EQPR- ევროპული კვალიფიკაციის პასპორტი ლტოლვილთათვის

ევროპული კვალიფიკაციის პასპორტი ლტოლვილთათვის (EQPR) შემუშავდა და განხორციელდა ევროპის საბჭოს, იუნესკოს (UNESCO) და რამდენიმე ევროპული ქვეყნის ჩართულობით და ძალისხმევით. მისი პრინციპები ეყრდნობა ლისაბონის კონვენციის VII თავს, რომელიც ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურას EQPR გაიცემა იმ პირებზე, რომლებმაც ომის, ან მწვავე პოლიტიკური კონფლიქტების გამო დაკარგეს საგანმანათლებლო დოკუმენტები, მაგრამ სურთ განათლების აღიარება სწავლის გაგრძელების, ან დასაქმების მიზნით. ქვეყნები ატარებენ სპეციალურ პროცედურებს, უნივერსიტეტების და განათლების ექსპერტების ჩართულობით, რომლებიც აფასებენ ლტოლვილის განათლებას, უნარ-ჩვევებს, თუ ენის ცოდნის დონეს, წერილობითი, ან ვერბალური გამოცდის ჩატარებით, ინტერვიუებით, გასაუბრებით. პროცედურის შედეგად გაცემული დოკუმენტი შეიცავს მფლობელის საიდენტიფიკაციო ყველა საჭირო ინფორმაციას. ასევე, ინფორმაციას კვალიფიკაციის ეკვივალენტობის, ენის ცოდნის დონის, სამუშაო გამოცდილების, ან პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი არის საერთაშორისო და მფლობელს მისი გამოყენება პროექტის პარტნიორ სხვა ქვეყანაშიც შეუძლია სწავლის ან დასაქმების მიზნებისთვის.

2023 წლის 15 მარტს, საქართველო შეუერთდა ლტოლვილთა ევროპულ საკვალიფიკაციო პასპორტს და გახდა 22-ე პარტნიორი ქვეყანა.

თავი II- საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის ცვლილებების პროექტის მომზადება

პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, მომზადა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის ცვლილებების პროექტი. პროექტი გაზიარებულ იქნა უნივერსიტეტებისათვის, ასევე პროექტის ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ჩატარებულ ტრენინგზე. ვინაიდან პროცედურაში მთავარ როლს, სწორედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ასრულებენ. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დამუშავებული ცვლილებების პროექტის ვერსია, გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსათვისაც. ასევე გათვალისწინებულ იქნა, მათგან მიღებული უკუკავშირი და შემუშავებულ იქნა ცვლილებების პროექტის საბოლოო ვერსია.
ცვლილებების პროექტის თანახმად:

- დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხის თაობაზე კონსულტაციის მისაღებად მიმართოს ცენტრს;
- განისაზღვრა პროცედურის ჩასატარებლად კონკრეტული ვადები როგორც ცენტრისათვის, ასევე უნივერსიტეტებისათვის;
- დეტალურად გაიწერა ჩართული მხარეების, განმცხადებლის, ცენტრის და უნივერსიტეტების უფლებები და ვალდებულებები;
- განისაზღვრა ენები, რომლებზეც შესაძლებელია ჩატარდეს გამოცდები;
- ვინაიდან, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების გადაწყვეტილებასთან ერთად, ცენტრი ადგენს საინფორმაციო ბარათს, შეიქმნა საინფორმაციო ბარათის ფორმა;
- საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება განხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე;
- უნდა გაუქმდეს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურისათვის განსაზღვრული საფასური და განხორციელდეს პროცედურა უფასოდ.

თავი III- საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საჭიროებების კვლევა საერთაშორისო სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამუშაო ჯგუფმა განახორციელა კვლევა, რომლის შედეგადაც გაანალიზდა საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება და ის გამოწვევები, რომელიც საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების განათლების აღიარებას შესაძლოა ახლდეს თან. კვლევა განხორციელდა სამ ეტაპად:

- **პირველ ეტაპზე** ანკეტა-კითხვარის საშუალებით ჩატარდა საქართველოში მოქმედი საერო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ონლაინ-გამოკითხვა;
- **მეორე ეტაპზე,** გამოკითხვაში ასახული პრაქტიკების/მიდგომების მრავალფეროვნებისა და უსდ-ების სტატუსის/გეოგრაფიული რეპრეზენტატულობის გათვალისწინებით, დაწესებულებათა წარმომადგენლები მოწვეულ იქნენ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობის მიზნით, რომელიც მკვეთრი გეოგრაფიული განაწილებისა და შეზღუდული დროის ფაქტორის გათვალისწინებით ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში;
- **მესამე ეტაპზე,** რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში გამოვლენილი ძირითადი პრობლემატიკა ინდივიდუალური ინტერვიუს ფარგლებში განხილულ იქნა საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთაც უკვე მრავალწლიანი პრაქტიკა გააჩნიათ საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა განათლების აღიარების კონტექსტში.

ცენტრის კვლევითმა ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფების სერია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელთა მიგნებებიც მოკლედ ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

გრაფიკი 3

თავი IV- ტრენინგი: „საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“

„ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის პროექტის” ფარგლებში, შემუშავდა ტრენინგ-მოდული თემაზე

„საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარება - საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები“, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების განათლების აღიარების პროცედურებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და აღიარების პრაქტიკის გაუმჯობესება. ტრენინგის ფარგლებში, ჩატარდა სამი შეხვედრა საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან (54 მონაწილე), და ცენტრის თანამშრომლებთან (51 მონაწილე). ტრენინგების ციკლი ჩატარდა 2023 წლის 29-30 აგვისტოსა და 2 სექტემბრის პერიოდში.

ტრენინგი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარის შევსება მონაწილეთა მხრიდან;
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგების, ცვლილებების პროექტისა და კვლევის შედეგების გაზიარება;
- სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პრაქტიკული სამუშაო დავალებების შესრულება;
- დისკუსია/კითხვარის განმეორებით შევსება.

ტრენინგების შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ტრენინგის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები იყო პროდუქტიული და გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ლტოვლითა მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის თაობაზე არასაკმარისი ინფორმირებულობა;
- ლტოლვილთა მიერ მიღებული განათლების აღიარების შესახებ, საქართველოში, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის არსებობის თაობაზე, არასაკმარისი ინფორმირებულობა;

- პროცესში ჩართული მხარეების პასუხისმგებლობათა გადანაწილების საკითხი;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების აზრთა სხვადასხვაობა, სერვის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- საგამოცდო და სასწავლო ენის განსაზღვრის საჭიროება.

თავი V- საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის სახელმძღვანელო დოკუმენტი და საინფორმაციო ბროშურა

ცენტრმა საერთაშორისო პრაქტიკის, კვლევის და ტრენინგების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე მოამზადა საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის სახელმძღვანელო დოკუმენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და საინფორმაციო ბროშურა, ქართულ, ინგლისურ, არაბულ და უკრაინულ ენებზე პოტენციური აპლიკანტებისთვის.

სახელმძღვანელო მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ამჟამად საქართველოში მოქმედი ლტოლვილების მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურის შესახებ. ის ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების ინფორმირებულობის ამაღლებას აღიარების პროცესთან დაკავშირებით და სტანდარტული/საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საინფორმაციო ბროშურაში ასახულია ინფორმაცია ლტოლვილების/მიგრანტების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურების შესახებ. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის გასაგებ ენებზე ქართულად, ინგლისურად, არაბულად და უკრაინულად. ბროშურა ეტაპობრივად აღწერს სამართლებრივ პროცედურას: წარმოსადგენად სავალდებულო დოკუმენტაციის სიებს, საკონტაქტო ინფორმაციას და დაწესებულებების დასახელებებს, რომლებთანაც ამ ადამიანებს შეუძლიათ გაიარონ განათლების აღიარების პროცედურა (როგორც უცხოეთში მიღებული განათლების

სტანდარტული აღიარება, ისე სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარება).

ამასთან ცენტრის მიერ მომზადებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებასთან ერთად გასაცემი საინფორმაციო ბარათის ნიმუში.

სადაც მიეთითება:
ა) ბარათის შედგენის თარიღი;
ბ) საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მაიდენტიფიცირებელი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი და სხვა);
გ) მონაცემები შესაფასებელი კვალიფიკაციის შესახებ;
დ) განმცხადებლის მიერ მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია (უცხო ენების ფლობის, სამუშაო გამოცდილების შესახებ და სხვა.);
ე) ინფორმაცია გამოცდის ჩამტარებელი/შემფასებელი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ და შეფასების შედეგები. საინფორმაციო ბარათი დგება ქართულ და ინგლისურ ენებზე და გადაეცემა განმცხადებელს განათლების აღიარების/ნაწილობრივი აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტთან ერთად.

დანართი. 1 სახელმძღვანელო

სახელმძღვანელოს ბმული - *"საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურის სახელმძღვანელო დოკუმენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის"*

დანართი.2 ბროშურა

დანართი 3. საინფორმაციო ბარათი

საინფორმაციო ბარათი



ბარათის შედგენის თარიღი და ადგილი:

ბარათის მფლობელის პერსონალური ინფორმაცია:

სახელი: გვარი:

მამის სახელი: დედის სახელი:

დაბადების თარიღი: დაბადების ადგილი:

მოქალაქეობა: სქესი:

ინფორმაცია უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის შესახებ:

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება რომელშიც ხდებოდა განათლების მიღება:

ქვეყანა სადაც მდებარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულება:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

მინიჭებული კვალიფიკაციის დასახელება:

განათლების მიღების წლები:

გამოცდის ჩამტარებელი/შემფასებელი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:

შეფასების შედეგი:

დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტის შესახებ:
ენების ფლობა:

სამუშაო გამოცდილება:

სხვა:

ხელმოწერა: